



შპს ფარმაქსი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება და კონსოლიდირებული მმართველობითი
ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	6
კონსოლიდირებული მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	7
კონსოლიდირებული კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება	8
კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება	9
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	11
კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშგება	26

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს ფარმაქსის მენეჯმენტს და დამფუძნებელს,

უარყოფითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს ფარმაქსის და მისი შვილობილი კომპანიების (შემდგომში ჯგუფი) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის კონსოლიდირებული მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავალის ანგარიშგებისგან, კონსოლიდირებული კაპიტალში ცვლილებისა და კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, “უარყოფითი მოსაზრების საფუძველის” აზრით განხილული საკითხების მნიშვნელოვნების გამო, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად არ ასახავს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრისთვის, აგრეთვე მისი საქმიანობის კონსოლიდირებულ ფინანსურ შედეგებსა და კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობას წლისათვის, რომელიც დასრულდა აღნიშნული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

უარყოფითი მოსაზრების საფუძველი

ჩვენ ჯგუფის აუდიტორებად დავინიშნეთ საანგარიშგებო თარიღის შემდგომ და შესაბამისად, ვერ შევძელით

დავსწრებოდით მარაგების და ძირითადი საშუალებების ფიზიკური ინვენტარიზაციის პროცესს 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ჩვენ ალტერნატიული პროცედურებითაც ვერ დავრწმუნდით აღნიშნული თარიღისათვის არსებული მარაგების ფულის და ფულის ექვივალენტების და ძირითადი საშუალებების რაოდენობის სისწორეში, რომელიც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილია 5,519,738 ლარის (მარაგები) და 20,205,577 ლარის ოდენობით (ძირითადი საშუალებები). ფული და ფულის ექვივალენტები 4,788,784 ლარი.

ჯგუფში შემავალი 2 კომპანია შპს ნიუ ლაიფ + და შპს ალელი-ს ფინანსური ანგარიშგების ინფორმაციები ვერ გახდა აუდიტისთვის ხელმისაწვდომი და კონსოლიდაციაში არ იღებს მონაწილეობას.

ჯგუფში შემავალი შვილობილი საწარმოს, შპს „ნიუ ლაიფ +“-ის მიერ სს „საქართველოს ბანკისგან“ მიღებულ სესხებზე ვერ მოვიპოვეთ გენერალური საკრედიტო და გირავნობის ხელშეკრულებები, შესაბამისად, ვერ მოვიპოვეთ საკმარისი და აუცილებელი მტკიცებულება ჯგუფის მიერ მიღებული სესხის სანაცვლოდ ნაკისრი ვალდებულებების სისრულესა და უზრუნველყოფაში ჩადებული ქონების შესახებ. შედეგად, ვერ განვსაზღვრეთ, საჭირო იყო თუ არა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში კორექტირების შეტანა მიღებულ სესხებთან და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების სხვა ელემენტებთან დაკავშირებით.

ჯგუფმა 2018 წელს შეიძინა შპს მარდალეიშვილის სამედიცინო ცენტრი - რუსთავის 100%-იანი წილი და შესაბამისად ამ კომპანიის მთლიანი აქტივები. შეძენის თარიღისთვის ჯგუფს არ შეუფასებია შეძენილი აქტივების რეალური ღირებულება, შესაბამისად არ მოხდა შეძენილი აქტივების რეალური ღირებულების შეპირისპირება გადახდილ თანხასთან. აღნიშნული კი წარმოადგენს გადახვევას ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებიდან. აღნიშნულს აგრეთვე გავლენა აქვს ქონების გადასახადსა და პერიოდების დარიცხვულ ცვეთაზე.

აუდიტის ჩატარების პროცესში, ჩვენ ვერ მივიღეთ დასტურის წერილები მესამე მხარეებისგან, კერძოდ, სავაჭრო მოთხოვნებთან და სავაჭრო ვალდებულებებთან დაკავშირებით. სხვა ალტერნატიული აუდიტორული პროცედურების ჩატარებით აგრეთვე ვერ მოვიპოვეთ საკმარისი და შესაფერისი აუდიტისთვის საჭირო მტკიცებულებები. შესაბამისად, ჩვენ ვერ დავადგინეთ, საჭიროა თუ არა ამ თანხების კორექტირება ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

აუდიტის პროცესში ჩვენ ვერ მოვიპოვეთ საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებები, რომ ჯგუფს ყველა საექვო მოთხოვნაზე დარიცხული აქვს ანარიცხი ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

გამომდინარე აქედან, ჩვენ ვერ ვადასტურებთ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის სიზუსტეს.

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ჩვენი პასუხისმგებლობა, აღნიშნული სტანდარტების მიხედვით, აღწერილია ამ დასკვნის აბზაცში სათაურით “აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე”. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ ჯგუფისგან, როგორც ამას მოითხოვს პროფესიონალ ბუღალტერთათვის საერთაშორისო ეთიკის სტანდარტების საბჭოს მიერ (“IESBA”) შემუშავებული ეთიკის კოდექსი, ჩვენი დამოუკიდებლობა ასევე შესაბამისობაშია საქართველოში არსებულ მოთხოვნებთან და ჩვენ სრულად ვასრულებთ სხვა მოთხოვნებს, რომელიც განსაზღვრულია ეთიკის ნორმებით. დარწმუნებული ვართ, რომ აუდიტის პროცესში მოპოვებული მტკიცებულებები საკმარის და შესაფერის საფუძველს გვაძლევს ჩვენი უარყოფითი მოსაზრებისთვის.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჯგუფის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია მმართველობის ანგარიშგების წარდგენაზე. მმართველობის ანგარიშგება მოიცავს ინფორმაციას ჯგუფის საქმიანობის, რისკის ანალიზის, სამომავლო გეგმების და სხვა “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად მოთხოვნილი საკითხების შესახებ.

აუდიტთან დაკავშირებით, ჩვენი პასუხისმგებლობა ზემოთ ხსენებული მმართველობის ანგარიშგების განხილვა არის მას შემდეგ, რაც იგი ჩვენთვის გახდება ხელმისაწვდომი და ამის შემდგომ გამოვხატავთ აზრს არის თუ არა სხვა ინფორმაცია მატერიალურად შეუსაბამო კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან მიმართებაში, ან აუდიტის დროს მიღებულ ინფორმაციასთან, ან ადგილი თუ ექნება მატერიალურ უზუსტობებს და წარმოვადგენთ შესაბამის ანგარიშს.

დამატებით, ჩვენი ვალდებულებაა გამოვთქვათ მოსაზრება მომზადებულია თუ არა მმართველობის ანგარიშგება “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად და მოიცავს თუ არა ის ყველა მოთხოვნილ ინფორმაციას.

თუ ჩატარებული პროცედურების საფუძველზე დავასკვნით, რომ მმართველობის ანგარიშგება მოიცავს არსებით უზუსტობებს, ჩვენ ვალდებული ვართ განვაცხადოთ ამ ფაქტზე და უზუსტობის არსზე.

ჩატარებული აუდიტორული პროცედურების საფუძველზე, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, ჩვენი მოსაზრება შემდეგია:

- ინფორმაცია, რომელიც მოცემულია მმართველობის ანგარიშგებაში, იმ წლისთვის, რომლისთვისაც მომზადებულია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, შესაბამისია ფინანსურ ანგარიშგებასთან და;

მმართველობის ანგარიშგება მომზადებულია “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად და მოიცავს კანონით მოთხოვნილ ყველა ინფორმაციას.

ხელმძღვანელობისა და მმართველობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირების პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებებზე

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (ფასს) პასუხისმგებელია ჯგუფის ხელმძღვანელობა. ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა აგრეთვე მოიცავს შიდა კონტროლის ისეთი სისტემის შემუშავებასა და დანერგვას, რომელიც უზრუნველყოფს თაღლითობით თუ შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობებისგან თავისუფალი ფინანსური ანგარიშგების მომზადებას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში ხელმძღვანელობა ვალდებულია შეაფასოს ჯგუფის შესაძლებლობა გააგრძელოს საქმიანობა უწყვეტად და, საჭიროების შემთხვევაში, წარადგინოს ახსნა-განმარტებითი ინფორმაცია საწარმოს უწყვეტობასთან დაკავშირებით. ხელმძღვანელობა აგრეთვე ვალდებულია მოამზადოს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება საწარმოს უწყვეტობის დაშვების საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ხელმძღვანელობა აპირებს ჯგუფის ლიკვიდაციას ან საქმიანობის შეჩერებას, ან თუ ჯგუფს არ აქვს სხვა რეალისტური არჩევანი.

მმართველობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებელი არიან მეთვალყურეობა გაუწიონ ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენის პროცესს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშის აუდიტზე

ჩვენი მიზანია მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება მასზედ, რომ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და წარვადგინოთ ანგარიში, რომელიც მოიცავს ჩვენს აუდიტორულ დასკვნას (მოსაზრებას) აღნიშნულზე. დასაბუთებული რწმუნება არის მაღალი დონის რწმუნება, მაგრამ ის არ არის გარანტია იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისად ჩატარებული აუდიტი აუცილებლად გამოავლენს არსებით უზუსტობებს მათი არსებობის შემთხვევაში. უზუსტობა შეიძლება წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად. უზუსტობები მიიჩნევა არსებითად, თუკი, გონივრულობის ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ მათ, ცალ-ცალკე ან ერთობლიობაში, შეუძლიათ გავლენა მოახდინონ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებაზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, აუდიტის მსვლელობისას, როგორც აუდიტის პროცესის შემადგენელი ნაწილი, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ განსჯას და ვიცავთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ვსაზღვრავთ და ვაფასებთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობების არსებობის რისკებს, ვგეგმავთ და ვასრულებთ აუდიტორულ პროცედურებს ამგვარი რისკების საპასუხოდ და მოვიპოვებთ ჩვენი აუდიტორული მოსაზრების ჩამოსაყალიბებლად საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს. თაღლითობით გამოწვეული არსებითი შეცდომების შეუმჩნეველობის რისკი შეცდომით გამოწვეული უზუსტობების შეუმჩნეველობის რისკზე მაღალია, რადგან თაღლითობა მოიცავს ისეთ ქმედებებს, როგორიცაა შეთქმულება, გაყალბება, განზრახ რაიმე ინფორმაციის გამოტოვება და არასრული სახით წარდგენა, ან შიდა კონტროლის არასწორი წარმართვა.
- ვერკვევით ჯგუფის კონტროლის სისტემის იმ ნაწილში, რომელიც მნიშვნელოვანია ჩვენი აუდიტის მიზნებისათვის, რათა დავგეგმოთ არსებული სიტუაციისათვის შესაფერისი აუდიტორული პროცედურები, მაგრამ არა იმ მიზნით, რომ გამოვხატოთ ჩვენი მოსაზრება ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტურობის შესახებ.
- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების, ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული სააღრიცხვო შეფასებების და ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებების შესაბამისობას.
- განვიხილავთ რამდენად შესაფერისი იყო ხელმძღვანელობის მიერ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადება საწარმოს საქმიანობის უწყვეტობის დაშვებაზე დაყრდნობით და, მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე, ვაფასებთ, ხომ არ არის მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა დაკავშირებული იმ მოვლენებთან და პირობებთან, რომლებსაც შეუძლიათ მნიშვნელოვანი ეჭვი გააჩინონ მომავალში ჯგუფის მიერ საქმიანობის უწყვეტად გაგრძელების შესაძლებლობასთან დაკავშირებით. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა არსებობს, მაშინ ჩვენგან მოითხოვება აუდიტორულ დასკვნაში მივუთითოთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამისი ახსნა-განმარტებითი შენიშვნა, სადაც განხილულია აღნიშნული მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა, ხოლო თუკი ფინანსურ ანგარიშგებაში აღნიშნული განუსაზღვრელობის არსებობა არ არის ადეკვატურად აღწერილი, მაშინ მოგვეთხოვება აუდიტორული დასკვნის მოდიფიცირება. ჩვენი მოსაზრებები დაფუძნებულია ჩვენ მიერ აუდიტორული დასკვნის ხელმოწერის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე. თუმცა მომავალში შესაძლოა მოხდეს ისეთი მოვლენები, რომლებსაც გავლენა ექნებათ ჯგუფის ფუნქციონირების გაგრძელების შესაძლებლობაზე.
- განვიხილავთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშის მთლიან სტრუქტურას, რომელიც მოიცავს წარდგენებს, თუ რამდენად სამართლიანად არის ასახული მასში ტრანზაქციები და მოვლენები.

მმართველობით უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებთან აუდიტის პროცესში გვქონდა კომუნიკაცია აუდიტის მასშტაბის, აუდიტის გეგმის და აუდიტის სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე, მათ შორის შიდა კონტროლის სისტემაში აუდიტის პროცესში გამოვლენილ მნიშვნელოვან სისუსტეებზე.

რეგისტრირებული აუდიტორი - როინ ლელუაშვილი SARAS-A-257221

შპს „ცერცვაძე და კომპანია“

30 სექტემბერი 2023

თბილისი, საქართველო

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშის აუდიტზე

ჩვენი მიზანია მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება მასზე, რომ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და წარვადგინოთ ანგარიში, რომელიც მოიცავს ჩვენს აუდიტორულ დასკვნას (მოსაზრებას) აღნიშნულზე. დასაბუთებული რწმუნება არის მაღალი დონის რწმუნება, მაგრამ ის არ არის გარანტია იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისად ჩატარებული აუდიტი აუცილებლად გამოავლენს არსებით უზუსტობებს მათი არსებობის შემთხვევაში. უზუსტობა შეიძლება წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად. უზუსტობები მიიჩნევა არსებითად, თუკი, გონივრულობის ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ მათ, ცალ-ცალკე ან ერთობლიობაში, შეუძლიათ გავლენა მოახდინონ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებაზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, აუდიტის მსვლელობისას, როგორც აუდიტის პროცესის შემადგენელი ნაწილი, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ განსჯას და ვიცავთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ვსაზღვრავთ და ვაფასებთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობების არსებობის რისკებს, ვგეგმავთ და ვასრულებთ აუდიტორულ პროცედურებს ამგვარი რისკების საპასუხოდ და მოვიპოვებთ ჩვენი აუდიტორული მოსაზრების ჩამოსაყალიბებლად საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს. თაღლითობით გამოწვეული არსებითი შეცდომების შეუმჩნეველობის რისკი შეცდომით გამოწვეული უზუსტობების შეუმჩნეველობის რისკზე მაღალია, რადგან თაღლითობა მოიცავს ისეთ ქმედებებს, როგორიცაა შეთქმულება, გაყალბება, განზრახ რაიმე ინფორმაციის გამოტოვება და არასრული სახით წარდგენა, ან შიდა კონტროლის არასწორი წარმართვა.
- ვერკვევით ჯგუფის კონტროლის სისტემის იმ ნაწილში, რომელიც მნიშვნელოვანია ჩვენი აუდიტის მიზნებისათვის, რათა დავეგეგმოთ არსებული სიტუაციისათვის შესაფერისი აუდიტორული პროცედურები, მაგრამ არა იმ მიზნით, რომ გამოვხატოთ ჩვენი მოსაზრება ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტურობის შესახებ.
- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების, ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული სააღრიცხვო შეფასებების და ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებების შესაბამისობას.

• განვიხილავთ რამდენად შესაფერისი იყო ხელმძღვანელობის მიერ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადება საწარმოს საქმიანობის უწყვეტობის დაშვებაზე დაყრდნობით და, მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე, ვაფასებთ, ხომ არ არის მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა დაკავშირებული იმ მოვლენებთან და პირობებთან, რომლებსაც შეუძლიათ მნიშვნელოვანი ეჭვი გააჩინონ მომავალში ჯგუფის მიერ საქმიანობის უწყვეტად გაგრძელების შესაძლებლობასთან დაკავშირებით. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა არსებობს, მაშინ ჩვენგან მოითხოვება აუდიტორულ დასკვნაში მივუთითოთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამისი ახსნა-განმარტებითი შენიშვნა, სადაც განხილულია აღნიშნული მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა, ხოლო თუკი ფინანსურ ანგარიშგებაში აღნიშნული განუსაზღვრელობის არსებობა არ არის ადეკვატურად აღწერილი, მაშინ მოგვეთხოვება აუდიტორული დასკვნის მოდიფიცირება. ჩვენი მოსაზრებები დაფუძნებულია ჩვენ მიერ აუდიტორული დასკვნის ხელმოწერის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე. თუმცა მომავალში შესაძლოა მოხდეს ისეთი მოვლენები, რომლებსაც გავლენა ექნებათ ჯგუფის ფუნქციონირების გაგრძელების შესაძლებლობაზე.

• განვიხილავთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშის მთლიან სტრუქტურას, რომელიც მოიცავს წარდგენებს, თუ რამდენად სამართლიანად არის ასახული მასში ტრანზაქციები და მოვლენები.

მმართველობით უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებთან აუდიტის პროცესში გვექონდა კომუნიკაცია აუდიტის მასშტაბის, აუდიტის გეგმის და აუდიტის სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე, მათ შორის შიდა კონტროლის სისტემაში აუდიტის პროცესში გამოვლენილ მნიშვნელოვან სისუსტეებზე.

რეგისტრირებული აუდიტორი - როინ ლელუაშვილი **SARAS-A-170985**

შპს „ცერცვაძე და კომპანია“

30 სექტემბერი 2023

თბილისი, საქართველო



კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

მიმდინარე აქტივები	შენიშვნა	31.12.2022	31.12.2021
ფული და ფულის ექვივალენტები	3	4 788 784	9 655 015
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		40 225 030	41 549 770
საგადასახადო აქტივი		5 901	22 045
გაცემული სესხები მიმდინარე ნაწილი	4	8 055 955	3 959 377
სასაქონლო მატერიალური მარაგები		5 519 738	3 861 629
სულ მიმდინარე აქტივები		58 595 409	59 047 837
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	1	20 205 577	24 926 348
გაცემული სესხები		6 095 552	5 130 663
არამატერიალური აქტივები		716 914	605 568
სულ გრძელვადიანი აქტივები		27 018 043	30 662 579
სულ აქტივები		85 613 452	89 710 416
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		2 000	2 000
გაუნაწილებელი მოგება		29 382 851	24 631 229
არამაკონტროლებელი წილი		(1 404 082)	(2 239 691)
სულ კაპიტალი		27 980 769	22 393 538
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	5	3 078 520	3 362 536
გადასახდელი ხელფასები		254 217	500 285
მიღებული ავანსები		7 784 676	11 649 021
მიღებული სესხები მოკლევადიანი ნაწილი	6	12 886 957	12 866 455
საგადასახადო ვალდებულებები		(11 103 215)	(1 927 680)
სულ მიმდინარე ვალდებულებები		12 901 154	26 450 617
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი იჯარის ვალდებულება		67 273	67 222
მიღებული სესხები გრძელვადიანი ნაწილი	6	44 664 256	40 799 039
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		44 731 529	40 866 261
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		85 613 452	89 710 416

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა 2023 წლის 30 სექტემბერს

დირექტორი

კონსტანტინე მარდალაიშვილი

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

მიმდინარე აქტივები	შენიშვნა	31.12.2022	31.12.2021
ფული და ფულის ექვივალენტები	3	4 788 784	9 655 015
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		40 225 030	41 549 770
საგადასახადო აქტივი		5 901	22 045
გაცემული სესხები მიმდინარე ნაწილი	4	8 055 955	3 959 377
სასაქონლო მატერიალური მარაგები		5 519 738	3 861 629
სულ მიმდინარე აქტივები		58 595 409	59 047 837
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	1	20 205 577	24 926 348
გაცემული სესხები		6 095 552	5 130 663
არამატერიალური აქტივები		716 914	605 568
სულ გრძელვადიანი აქტივები		27 018 043	30 662 579
სულ აქტივები		85 613 452	89 710 416
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		2 000	2 000
გაუნაწილებელი მოგება		29 382 851	24 631 229
არამაკონტროლებელი წილი		(1 404 082)	(2 239 691)
სულ კაპიტალი		27 980 769	22 393 538
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	5	3 078 520	3 362 536
გადასახდელი ხელფასები		254 217	500 285
მიღებული ავანსები		7 784 676	11 649 021
მიღებული სესხები მოკლევადიანი ნაწილი	6	12 886 957	12 866 455
საგადასახადო ვალდებულებები		(11 103 215)	(1 927 680)
სულ მიმდინარე ვალდებულებები		12 901 154	26 450 617
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი იჯარის ვალდებულება		67 273	67 222
მიღებული სესხები გრძელვადიანი ნაწილი	6	44 664 256	40 799 039
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		44 731 529	40 866 261
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		85 613 452	89 710 416

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა 2023 წლის 30 სექტემბერს

დირექტორი

კონსტანტინე მარდალიშვილი

კონსოლიდირებული მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

მოგება ზარალის უწყისი	შენიშვნა	2 022	2 021
საოპერაციო შემოსავლები	7	38 359 934	49 897 149
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	8	(8 723 243)	(10 598 369)
საერთო მოგება		29 636 691	39 298 780
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	9	(24 740 018)	(19 315 493)
საოპერაციო მოგება		4 896 673	19 983 287
არასაოპერაციო შემოსავლები		7 484 611	6 256 877
არასაოპერაციო ხარჯები		(6 794 053)	(7 296 389)
მოგება დაბეგვრამდე		5 587 231	18 943 775
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა მოგება		5 587 231	18 943 775
მფლობელთა წილი		4 751 622	19 123 227
არამაკონტროლებელი წილი		835 610	(179 451)

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა 2023 წლის 30 სექტემბერს

დირექტორი

კონსტანტინე მარდალეიშვილი

კონსოლიდირებული მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

მოგება-ზარალის უწყისი	შენიშვნა	2 022	2 021
საოპერაციო შემოსავლები	7	38 359 934	49 897 149
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	8	(8 723 243)	(10 598 369)
საერთო მოგება		29 636 691	39 298 780
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	9	(24 740 018)	(19 315 493)
საოპერაციო მოგება		4 896 673	19 983 287
არასაოპერაციო შემოსავლები		7 484 611	6 256 877
არასაოპერაციო ხარჯები		(6 794 053)	(7 296 389)
მოგება დაბეგრამდე		5 587 231	18 943 775
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა მოგება		5 587 231	18 943 775
მფლობელთა წილი		4 751 622	19 123 227
არამაკონტროლებელი წილი		835 610	(179 451)

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა 2023 წლის 30 სექტემბერს

დირექტორი

კონსტანტინე მარდალავიშვილი

შპს ფარმაქსი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
31 დეკემბერი 2022
(ქართულ ლარში)

კონსოლიდირებული კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება

	არამაკონტროლებელი წილი	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
2020წლის 31 დეკემბერი	(2 060 240)	2 000	5 508 002	3 449 763
მოგება წლის ბოლოს			19 123 227	19 123 227
გაცემული დივიდენდი			-	-
არამაკონტროლებელი წილი	(179 451)			(179 451)
2021წლის 31 დეკემბერი	(2 239 691)	2 000	24 631 229	22 393 538
მოგება წლის ბოლოს			4 751 622	4 751 622
გაცემული დივიდენდი				-
არამაკონტროლებელი წილი	835 610			835 610
2022 წლის 31 დეკემბერი	(1 404 082)	2 000	29 382 851	27 980 769

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა 2023 წლის 30 სექტემბერს

დირექტორი
კონსტანტინე მარდალავიშვილი

სს ფარმაქსი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
31 დეკემბერი 2022
ქართულ ლარში)

კონსოლიდირებული კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება

	არამაკონტროლებელი წილი	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
2020 წლის 31 დეკემბერი	(2 060 240)	2 000	5 508 002	3 449 763
მოგება წლის ბოლოს			19 123 227	19 123 227
გაცემული დივიდენდი			-	-
არამაკონტროლებელი წილი	(179 451)			(179 451)
2021 წლის 31 დეკემბერი	(2 239 691)	2 000	24 631 229	22 393 538
მოგება წლის ბოლოს			4 751 622	4 751 622
გაცემული დივიდენდი			-	-
არამაკონტროლებელი წილი	835 610			835 610
2022 წლის 31 დეკემბერი	(1 404 082)	2 000	29 382 851	27 980 769

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა 2023 წლის 30 სექტემბერს

დირექტორი

კონსტანტინე მარდალავიშვილი

კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება

	2022	2021
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მოგება გაბეგვრამდე	26 357 858	18 943 775
შესწორებები:	-	-
ძირითადი საშუალებების ცვეთა	5 221 802	6 000 125
ანარიცხი სასამართლო დავაზე	-	-
არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია	3 097	3 379
ზარალი გრძელვადიანი აქტივების გაყიდვიდან	-	-
ძირითადი საშუალებისა და არამატერიალური აქტივების ჩამოწერით მიღებული ზარალი	-	-
კურსთაშორის სხვაობის წმინდა ზარალი (მოგება)	2 345 320	741 716
საპროცენტი ხარჯი	437 600	1 134 890
ფინანსური შემოსავალი	956 840	(361 441)
საოპერაციო ფულადი ნაკადები კაპიტალში ცვლილებამდე:	35 322 517	26 462 444
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ზრდა	(661 302)	(19 017 188)
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ზრდა	(1 658 109)	(1 958 016)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების (შემცირება)/ზრდა	(486 166)	(389 464)
ცვლილება საბრუნავ კაპიტალში:	32 516 940	5 097 776
მიღებული პროცენტი	956 840	361 441
გადახდილი პროცენტი	(1 394 440)	(1 134 890)
გადახდილი მოგების გადასახადი	-	-
წმინდა ფულადი ნაკადები მიღებული საოპერაციო საქმიანობიდან	32 079 340	4 324 327
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	-	-
სხვა აქტივების ცვლილება	(37 458 213)	119 103
ძირითადი საშუალებების შეძენა	4 720 771	4 326 251
ძირითადი საშუალების რეალიზაცია	-	-
არამატერიალური აქტივების შეძენა	(111 346)	(149 160)
ინვეტიციის განხორციელება შვილობილ საწარმოში	-	-
წმინდა ფულადი სახსრები გამოყენებული საინვესტიციო საქმიანობაში	(32 848 788)	4 296 194
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან	-	-
საბანკო სესხების წმინდა ცვლილება	(3 768 749)	(1 570 474)
გადახდილი დივიდენდები	-	-
წმინდა ფულადი სახსრები მიღებული / (გამოყენებული) საფინანსო საქმიანობიდან	(3 768 749)	(1 570 474)
ფულის და ფულის ექვივალენტების წმინდა ზრდა	(4 538 197)	7 050 047
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში	9 655 015	2 480 297
სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	(328 034)	124 670
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს	4 788 784	9 655 015

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა 2023 წლის 30 სექტემბერს

დირექტორი

კონსტანტინე მარდალეიშვილი

კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება

	2022	2021
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მოგება გაბეგვამდე	26 357 858	18 943 775
შესწორებები:	-	-
ძირითადი საშუალებების ცვეთა	5 221 802	6 000 125
ანარიცხი სასამართლო დავაზე	-	-
არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია	3 097	3 379
ზარალი გრძელვადიანი აქტივების გაყიდვიდან	-	-
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების ჩამოწერით მიღებული ზარალი	-	-
კურსთშაორის სხვაობის წმინდა ზარალი (მოგება)	2 345 320	741 716
საპროცენტი ხარჯი	437 600	1 134 890
ფინანსური შემოსავალი	956 840	(361 441)
საოპერაციო ფულადი ნაკადები კაპიტალში ცვლილებამდე:	35 322 517	26 462 444
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ზრდა	(661 302)	(19 017 188)
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ზრდა	(1 658 109)	(1 958 016)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების (შემცირება)/ზრდა	(486 166)	(389 464)
ცვლილება საბრუნავ კაპიტალში:	32 516 940	5 097 776
მიღებული პროცენტი	956 840	361 441
გადახდილი პროცენტი	(1 394 440)	(1 134 890)
გადახდილი მოგების გადასახადი	-	-
წმინდა ფულადი ნაკადები მიღებული საოპერაციო საქმიანობიდან	32 079 340	4 324 327
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	-	-
სხვა აქტივების ცვლილება	(37 458 213)	119 103
ძირითადი საშუალებების შეძენა	4 720 771	4 326 251
ძირითადი საშუალებების რეალიზაცია	-	-
არამატერიალური აქტივების შეძენა	(111 346)	(149 160)
ინვესტიციის განხორციელება შვილობილ საწარმოში	-	-
წმინდა ფულადი სახსრები გამოყენებული საინვესტიციო საქმიანობაში	(32 848 788)	4 296 194
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან	-	-
საბანკო სესხების წმინდა ცვლილება	(3 768 749)	(1 570 474)
გადახდილი დივიდენდები	-	-
წმინდა ფულადი სახსრები მიღებული / (გამოყენებული) საფინანსო საქმიანობიდან	(3 768 749)	(1 570 474)
ფულის და ფულის ექვივალენტების წმინდა ზრდა	(4 538 197)	7 050 047
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები წლის დასაწყისში	9 655 015	2 480 297
სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ექვივალენტებზე	(328 034)	124 670
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები წლის ბოლოს	4 788 784	9 655 015

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა 2023 წლის 30 სექტემბერს

დირექტორი

კონსტანტინე მარდალიშვილი

1. ძირითადი საქმიანობა და ზოგადი ინფორმაცია

შპს „ფარმაქსი“ (შემდგომში კომპანია) დაარსდა 2001 წელს. კომპანიის მუშაობის ძირითადი მიმართულებებია სამედიცინო ლაბორატორიების და სისხლის ბანკების მომსახურება - ჭიპლარის სისხლის აღება და შენახვა. კომპანია საქმიანობას ეწევა საქართველოს კანონმდებლობისა და კომპანიის წესდების შესაბამისად.

კომპანია წარმოადგენს ჯგუფის მშობელ კომპანიას და ფინანსურ ანგარიშგებაში იკონსოლიდირებს შემდეგ შვილობილ კომპანიებს:

დასახელება	საქმიანობის ქვეყანა	წლის ფლობა		შვილობილი	საქმიანობა
		31.12.2022	31.12.2021		
შპს ონკოლოგიის სამედიცინო კვლევითი ცენტრი	საქართველო	100%	100%	შვილობილი	სამედიცინო მომსახურება
შპს ალელი	საქართველო	50%	50%	შვილობილი	სამედიცინო მომსახურება
შპს ნიუ ლაიფ პლიუს შპს სხივური მედიცინის ცენტრი	საქართველო	100%	75%	შვილობილი	სამედიცინო მომსახურება
შპს მარდალეიშვილის სამედიცინო ცენტრი - რუსთავი	საქართველო	100%	60%	შვილობილი	სამედიცინო მომსახურება

2022 და 2021 წლის 31 დეკემბრის და მდგომარეობით კომპანიის მფლობელთა სტრუქტურა არის შემდეგი:

	31.12.2022	31.12.2021
გიორგი ლოლაძე	30%	30%
ელენე ხვედელიძე	30%	30%
მარინე ხატელიშვილი	20%	20%
ზურაბ დაბრუნდაშვილი	5%	5%
დავით ღვინიაშვილი	5%	5%
დავით ბახტურიძე	5%	5%
ლევან კალმახელიძე	5%	5%

კომპანიის დირექტორი არის კონსტანტინე მარდალეიშვილი.

მომზადების და შეფასების საფუძველი

განცხადება შესაბამისობის თაობაზე

წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასსს) მიერ გამოქვეყნებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია უწყვეტი და ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე (იხილეთ შენიშვნა 20).

შეფასების საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ისტორიული ღირებულების პრინციპზე დაყრდნობით, გარდა ზოგიერთი ფინანსური ინსტრუმენტისა, რომლებიც ასახულია მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებით.

საოპერაციო და ანგარიშგების ვალუტა

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები წარმოდგენილია იმ ქვეყნის ვალუტაში, სადაც ჯგუფი ფუნქციონირებს (საოპერაციო ვალუტა). ამგვარად, მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შეფასების ვალუტად ჯგუფი იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს მის ოპერაციებზე.

შეფასებებისა და მოსაზრებების გამოყენება

წინამდებარე ანგარიშგების, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მომზადებისათვის, ხელმძღვანელობამ გააკეთა მთელი რიგი შეფასებები, რომლებიც გავლენას ახდენენ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი აქტივებისა და ვალდებულებების თანხებზე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების თარიღისათვის, აგრეთვე საანგარიშგებო პერიოდის შესაბამის შემოსავლებზე და ხარჯებზე. კონკრეტული სფეროები, სადაც მნიშვნელოვანი შეფასებები და მსჯელობებია გამოყენებული, ან სადაც ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული დაშვებები და სააღრიცხვო შეფასებები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაზე, განხილულია მე-14 შენიშვნაში. ეს შეფასებები ეფუძნება მენეჯმენტის მიმდინარე მოვლენებისა და აქტივობების საუკეთესო ცოდნას, საბოლოოდ კი, რეალური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს ამ შეფასებებისგან. შესაბამისად რეალური შედეგები დაკორექტირდება იმ წელში, როცა წარმოიშვება ახალი გარემოებები.

სტანდარტები რომლებიც ჯერ არ არის ეფექტური და ჯერ არ მიუღია ჯგუფს

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ხელმოწერის თარიღისთვის, ბასს-ის მიერ, გამოქვეყნებული იყო გარკვეული ახალი სტანდარტები, არსებული სტანდარტების შესწორებები და ინტერპრეტაციები, მაგრამ ჯერჯერობით ისინი არ არის ეფექტური და ჯგუფს ისინი ჯერ არ მიუღია.

ხელმძღვანელობა ვარაუდობს, რომ ყველა შესაბამისი განცხადება მიიღება ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკაში პირველივე პერიოდისათვის, რომელიც იწყება გამოცხადების ძალაში შესვლის თარიღიდან ან მას შემდეგ. ახალი სტანდარტები, არსებული სტანდარტების შესწორებები და ინტერპრეტაციები, რომლებიც შესაძლებელია რელევანტური გახდეს ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისთვის, წარმოდგენილია ქვემოთ. ზოგიერთი სხვა ახალი სტანდარტი და ინტერპრეტაცია ასევე იქნა გამოშვებული, მაგრამ არ არის სავარაუდო, რომ მათ ექნებათ არსებითი გავლენა ჯგუფის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

სააღრიცხვო პოლიტიკა

კონსოლიდაციის საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს შპს „ფარმაქსის“ და მისი შვილობილი კომპანიების (შემდგომში ჯგუფი) კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. შვილობილი საწარმოს კონსოლიდაცია იწყება მაშინ, როდესაც კომპანია მოიპოვებს კონტროლს შვილობილ საწარმოზე და წყდება მაშინ, როდესაც კომპანია კარგავს კონტროლს შვილობილ საწარმოზე. კერძოდ, წლის განმავლობაში შეძენილი ან გასხვისებული შვილობილი კომპანიის შემოსავალი და ხარჯები აღირიცხება მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში იმ თარიღიდან, როდესაც კომპანია იძენს კონტროლს, იმ თარიღამდე, როდესაც კომპანიის კონტროლი შვილობილ კომპანიაზე წყდება.

კონტროლი მიიღწევა მაშინ, როდესაც კომპანიას:

- აქვს გავლენა ინვესტიციის ობიექტზე;
- იღებს ან უფლება აქვს მიიღოს ინვესტიციის ობიექტში თავისი მონაწილეობიდან ცვლადი უკუგება; და
- შეუძლია თავისი გავლენის გამოყენება უკუგებაზე ზემოქმედებისთვის

ჯგუფი ხელახლა აფასებს, აკონტროლებს თუ არა ინვესტიციის ობიექტს, თუ ფაქტები და გარემოებები იმაზე მიანიშნებს, რომ კონტროლის ზემოაღნიშნული სამი ელემენტიდან ერთ-ერთში ცვლილებები მომხდარი. როდესაც ჯგუფი ინვესტიციის ობიექტში უმრავლესობაზე ნაკლებ ხმებს ფლობს, მას გავლენა ექნება ინვესტიციის ობიექტზე, თუ ხმის უფლება საკმარისია, რომ მას ჰქონდეს პრაქტიკული უნარი ერთპიროვნულად წარმართოს ინვესტიციის ობიექტის შესაბამისი საქმიანობა. იმის შეფასებისას, კომპანიის ხმის უფლება საკმარისია თუ არა ინვესტიციის ობიექტზე გავლენის განსახორციელებლად, კომპანია ყველა შესაბამის ფაქტს და გარემოებას ითვალისწინებს, მათ შორის:

- კომპანიის ხმის უფლებათა რაოდენობა სხვა მფლობელების ხმის უფლებების რაოდენობასთან შედარებით;
- კომპანიის, სხვა მფლობელებისა და სხვა მხარეების პოტენციური ხმის უფლებები;
- სხვა სახელშეკრულებო გარიგებებიდან წარმომდგარი უფლებები; და
- ნებისმიერი დამატებითი ფაქტი ან გარემოება, რომელიც მიანიშნებს იმაზე, რომ კომპანიას ამჟამად აქვს, ან არ აქვს უნარი, მართოს შესაბამისი საქმიანობა ისეთ დროს, როდესაც გადაწყვეტილებების მიღება საჭირო, მათ შორის ხმის მიცემის გამოცდილება წინა პარტნიორების კრებებზე.

იმ შემთხვევაში თუ შვილობილი კომპანიების სააღრიცხვო პოლიტიკა განსხვავდება მფლობელი კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკისგან, ხდება შვილობილი კომპანიების ფინანსური ანგარიშგების კორექტირება, რათა მათი სააღრიცხვო პოლიტიკა შესაბამისობაში მოვიდეს ჯგუფის პოლიტიკასთან.

ჯგუფის კომპონენტებს შორის არსებულ ოპერაციებთან დაკავშირებული ყველა შიდაჯგუფური მოთხოვნა, ვალდებულება, კაპიტალი, შემოსავალი, ხარჯი და ფულადი ნაკადი კონსოლიდაციისას სრულად ელიმინირდება.

არამაკონტროლებელი წილი არის შვილობილი კომპანიის საქმიანობის წმინდა შედეგების და წმინდა კაპიტალის ნაწილი, რომელსაც პირდაპირ ან არაპირდაპირ არ ფლობს დედა კომპანია. არამაკონტროლებელი წილი წარმოადგენს ჯგუფის კაპიტალის ცალკე კომპონენტს. არამაკონტროლებელი წილი ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში შეფასებულია ინვესტირებული საწარმოს წმინდა აქტივების პროპორციული წილით.

— უცხოური ვალუტა

ოპერაციები შეფასების ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაში განიხილება, როგორც ოპერაცია უცხოურ ვალუტაში და აღირიცხება ბასს 21–ს „სავალუტო კურსების ცვლილებათა გავლენა“ მოთხოვნის შესაბამისად.

უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის

შესაბამისად, კურსთაშორის სხვაობიდან წარმოქმნილი მოგება და ზარალი ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია მუხლში - „კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება/(ზარალი)“.

უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი იყო შემდეგი:

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სხვა სახის დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ძირითადი საშუალებები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. ჯგუფი იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისათვის. ჯგუფის საკუთრებაში არსებულ მიწას ცვეთა არ ერიცხება.

სასარგებლო მომსახურების პერიოდი და ცვეთის მეთოდი გადაიხედება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ღირებულების ცვლილების ეფექტის გათვალისწინებით, პერსპექტიულ საფუძველზე.

იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალებების თითოეულ კომპონენტს გააჩნია განსხვავებული ექსპლუატაციის პირობები, მაშინ ამდაგვარი აქტივთა ჯგუფი აღირიცხება ინდივიდუალურად.

ძირითადი საშუალებების ჯგუფების სასარგებლო მომსახურების ვადები წარმოადგენილია შემდეგნაირად:

შენობა-ნაგებობები	- 30 წელი
სამედიცინო აღჭურვილობა	- 5-20 წელი
ოფისის აღჭურვილობა და კომპიუტერული მოწყობილობები	- 5-15 წელი
მიწის ნაკვეთი	ცვეთა არ ერიცხება

გრძელვადიანი აქტივების გაუფასურება

განუსაზღვრელი სასიცოცხლო მომსახურების ვადის მქონე აქტივებს ცვეთა არ ერიცხება და ხდება მათი ყოველწლიური ტესტირება გაუფასურებაზე. აქტივები, რომლებიც ცვეთას ექვემდებარებიან, გაუფასურებაზე ტესტს გადიან მაშინ, როდესაც მოვლენები ან გარემოებათა ცვლილებები მიანიშნებენ, რომ მათი საბალანსო ღირებულება შეიძლება არ იყოს ანაზღაურებადი. გაუფასურების ზარალი მომენტალურად აისახება, როგორც ხარჯი იმ შემთხვევაში, როცა აქტივის საბალანსო ღირებულება აჭარბებს მის ანაზღაურებად ღირებულებას.

ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება, როგორც უდიდესი აქტივის გამოყენების ღირებულებასა და მის სარეალიზაციო ღირებულებას შორის. თუ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეული შეფასებულია საბალანსო ღირებულებაზე ნაკლებად, მაშინ საბალანსო ღირებულება მცირდება მის

ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალის ხარჯად აღიარება ხდება დაუყოვნებლივ, გარდა იმ შემთხვევისა, როცა აქტივი არის წარმოდგენილი გადაფასებული ღირებულებით და გაუფასურების ზარალი პირდაპირ ამცირებს გაუფასურების რეზერვს.

როცა გაუფასურების ზარალის ანუღირება ხდება, მაშინ აქტივის საბალანსო ღირებულება იზრდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, მაგრამ ისე, რომ გაზრდილი საბალანსო ღირებულება არ აჭარბებდეს საბალანსო ღირებულებას, რომელიც განსაზღვრული იქნებოდა წინა პერიოდის გაუფასურების არარსებობის შემთხვევაში. გაუფასურების ანუღირება დაუყოვნებლივ აღიარდება შემოსავალში, თუ ეს აქტივი არ აღირიცხება გადაფასებული ღირებულებით, რა შემთხვევაშიც ნებისმიერი გაუფასურების ზარალის ანუღირება განისაზღვრება როგორც გადაფასების ზრდა.

იჯარა

ჯგუფი, როგორც მემკარე

როგორც მემკარე, ჯგუფი ახდენს იჯარის კლასიფიკაციას საოპერაციო ან ფინანსურ იჯარად.

ფინანსური იჯარა

როდესაც ჯგუფი იჯარით გადასცემს საიჯარო აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ პრაქტიკულად ყველა რისკსა და სარგებელს, ან როდესაც საიჯარო პერიოდის ხანგრძლივობა აქტივის ეკონომიკურ მომსახურების ვადის უმეტესს ნაწილს შეადგენს, მიუხედავად იმისა გადადის თუ არა აქტივის მფლობელობა სხვა კომპანიაზე, იჯარით აღებული აქტივები წარმოდგენილია როგორც ფინანსური იჯარა.

ფინანსური იჯარის გაანგარიშება ხდება, როგორც მინიმალური საიჯარო გადახდების ჯამი, რომელიც წარმოადგენს მოიჯარის მიერ გარანტირებულ თანხებს და საიჯარო აქტივის არაგარანტირებულ ნარჩენ ღირებულებას (ერთად მთლიანი საიჯარო ინვესტიცია), დისკონტირებული იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით. იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთი არის დისკონტირების საპროცენტო განაკვეთი, რომლის გამოყენებით გამოთვლილი მთლიანი საიჯარო ინვესტიციის დღევანდელი ღირებულება ტოლია საიჯარო აქტივის რეალური ღირებულებისა და მემკარის თავდაპირველი პირდაპირი დანახარჯების ჯამისა.

მთლიან საიჯარო ინვესტიციასა და ნეტო საიჯარო ინვესტიციას შორის სხვაობა წარმოადგენს გამოუმუშავებელ ფინანსურ შემოსავალს. გამოუმუშავებელი ფინანსური შემოსავლის განაწილება ხდება იჯარის მთელ ვადაზე იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

საოპერაციო იჯარა

ყველა სხვა იჯარა განიხილება როგორც საოპერაციო იჯარა. თუ ჯგუფი მოიჯარეა, გადახდები საოპერაციო იჯარაზე აღიარდება, როგორც ხარჯი, წრფივი მეთოდით, იჯარის პერიოდის განმავლობაში. მასთან დაკავშირებული ხარჯები, როგორიც არის მომსახურებისა და დაზღვევის, აღიარდება პერიოდის ხარჯებად.

შემოსავალი

იმისათვის, რომ შემოსავალი იქნეს აღიარებული ჯგუფმა უნდა შეასრულოს ხუთ-საფეხურიანი პროცესი:

1. მომხმარებელთან ხელშეკრულების იდენტიფიკაცია
2. შესასრულებელი ვალდებულებების იდენტიფიკაცია
3. გარიგების ფასის განსაზღვრა
4. გარიგების ფასის განაწილება შესასრულებელ ვალდებულებაზე
5. შემოსავლის აღიარება, როდესაც ნაკისრი ვალდებულება შესრულდება.

შემოსავლების აღიარება ხდება იმ დროს ან დროის განმავლობაში, როდესაც (ან როგორც) ჯგუფი დააკმაყოფილებს შესასრულებელ ვალდებულებას დაპირებული საქონლის ან მომსახურების გადაცემით.

ჯგუფის შემოსავალი ძირითადად წარმოიქმნება სამედიცინო მომსახურებიდან.

– ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტების აღიარება და ჩამოწერა

ფინანსური აქტივი და ფინანსური ვალდებულება აღიარდება, მას შემდეგ, რაც ჯგუფი ხდება ფინანსური ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობების მონაწილე.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა ხდება მას შემდეგ, რაც ამოიწურება ფინანსური სარგებლის მიღების სახელშეკრულებო უფლება, ან როდესაც ფინანსური აქტივი და მასთან დაკავშირებული რისკის მნიშვნელოვანი წილი გადადის სხვა მხარეზე.

ფინანსური ვალდებულების აღიარება წყდება, როდესაც ის შესრულდება, ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და თავდაპირველი შეფასება

იმ სავაჭრო მოთხოვნების გარდა, რომლებიც არ შეიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს და შეფასებულია გარიგების ფასად ფასს 15-ის მიხედვით, ყველა ფინანსური აქტივი თავდაპირველად შეფასებულია რეალური ღირებულებით დაკორექტირებული გარიგების დანახარჯებით (სადაც შესაბამისია).

აღიარების შემდგომი შეფასების მიზნებისათვის ფინანსური აქტივები გარდა ჰეჯირების ინსტრუმენტებისა, დაყოფილია შემდეგ კატეგორიებად:

- ამორტიზებული ღირებულებით
 - რეალური ღირებულების მოგება-ზარალში ასახვით (FVTPL)
 - რეალური ღირებულების ცვლილების სხვა სრულ შემოსავალში ასახვით (FVOCI).
- წარმოდგენილ პერიოდში ჯგუფს არ აქვს ფინანსური აქტივების კატეგორია FVOCI.

კლასიფიკაცია განისაზღვრება ორივე შემდეგი კრიტერიუმის მიხედვით:

- კომპანიის ბიზნეს მოდელი ფინანსური აქტივის მართვისთვის;
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლები.

ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული ყველა შემოსავალი და ხარჯი, რომელიც აღიარებულია მოგებაში ან ზარალში წარმოდგენილია ფინანსური ხარჯებში, ფინანსური შემოსავალში ან სხვა ფინანსური მუხლებში, გარდა სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურებისა, რომლებიც წარმოდგენილია სხვა ხარჯებში. ჯგუფის ფინანსური აქტივები დაყოფილი კატეგორიების მიხედვით მოცემულია შენიშვნაში.

ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასება

ფინანსური აქტივების ამორტიზირებული ღირებულებით შეფასება

ფინანსური აქტივები შეფასებულია ამორტიზირებული ღირებულებით თუ აკმაყოფილებს შემდეგ კრიტერიუმებს (და არ არის განსაზღვრული როგორც FVTPL):

- ფლობს ფინანსურ აქტივებს ისეთი ბიზნეს მოდელის პირობებში, რომლის მიზანია ფინანსური აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით;
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და ძირითადი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას.

ფინანსური აქტივები თავდაპირველი აღიარებისას შეფასებულია ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. დისკონტირება უგულებელყოფილია, სადაც დისკონტირებას არამატერიალური ეფექტი აქვს. ჯგუფის ფული და ფულის ეკვივალენტები, სავაჭრო და სხვა მოთხოვნები ფინანსური ინსტრუმენტების ამ კატეგორიას მიეკუთვნება.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ფასს 9-ის მოთხოვნები იყენებს უფრო მეტად საპროგნოზო ინფორმაციას მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის

აღიარებისას – „მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) მოდელი“. ეს ანაცვლებს ზასს 39-ის „განცდილი ზარალის მოდელს“. ახალ განსაღვრებაში მოქცეული ინსტრუმენტები, რომლებიც მოიცავს სესხებს და სხვა საგალო ტიპის ფინანსურ აქტივებს შეფასებულს ამორტიზებული ღირებულებით და რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, სავაჭრო მოთხოვნებს, სახელშეკრულებო აქტივებს, რემლებიც აღიარებული და შეფასებულია ფასს 15-ის მიხედვით და სესხის გაცემის ვალდებულებას და ზოგიერთი ფინანსური გარანტიის ხელშეკრულებებს (ემიტენტისთვის), რომლებიც არ არიან შეფასებული რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით.

საკრედიტო ზარალის აღიარება აღარ არის დამოკიდებული ჯგუფის მიერ საკრედიტო ზარალის პირველად აღმოჩენის შემთხვევაზე. ამის მაგივრად ჯგუფი განიხილავს უფრო ფართო არეალის ინფორმაციას, როდესაც აფასებს საკრედიტო რისკს და მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს, ეს ინფორმაცია მოიცავს, წარსულ შემთხვევებს, მიმდინარე პირობებს, მართებულ და მისაღებ პროგნოზს, რომელსაც გავლენა აქვს ფინანსური აქტივის მომავალი ფულადი ნაკადების მოსალოდნელ შეგროვებადობაზე.

ამ საპროგნოზო მიდგომის დანერგვისას, გამიჯვნა ხდება:

- ფინანსურ ინსტრუმენტებს შორის, რომლებიც საკრედიტო ხარისხის მიხედვით საგრძნობლად არ გაუარესებულა საწყისი აღიარების შემდგომ ან აქვს დაბალი საკრედიტო რისკი (დონე 1), და
- ფინანსურ ინსტრუმენტებს შორის, რომლებიც საგრძნობლად გაუარესდნენ კრედიტის ხარისხის მიხედვით საწყისი აღიარების შემდგომ და მათი საკრედიტო რისკი არ არის დაბალი (დონე 2)

დონე 3 მოიცავს ფინანსურ აქტივებს, რომლებსაც აქვს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება საანგარიშგებო თარიღისთვის.

„12 თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი“ აღიარებულია პირველი კატეგორიით, ხოლო „არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი“ მეორე კატეგორიით.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღიარება განსაზღვრულია ალბათობებით შეწონილი საკრედიტო ზარალის შეფასებით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი არსებობის მანძილზე.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ჯგუფი იყენებს გამარტივებულ მიდგომას სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ანგარიშგების დროს ასევე სახელშეკრულებო აქტივების შემთხვევაშიც და აღრიცხავს ზარალის რეზერვის თანხას, როგორც ფინანსური ინსტრუმენტის არსებობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალად. ეს არის მოსალოდნელი დეფიციტი სახელშეკრულებო ფულად ნაკადებში, რომელიც ითვალისწინებს პოტენციურ ვალდებულების შეუსრულებლობას ფინანსური აქტივის არსებობისას ნებისმიერ დროს. ჯგუფი იყენებს თავის ისტორიულ გამოცდილებას, გარე ფაქტორებს და საპროგნოზო ინფორმაციას მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დაანგარიშების დროს.

ჯგუფი აფასებს სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურებას კოლექტიურ საფუძველზე რადგანაც ფლობენ საერთო საკრედიტო რისკის მახასიათებლებს და დაჯგუფებულები არიან ვადაგადაცილების მიხედვით.

ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია და შეფასება

ჯგუფის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სესხებს, საიჯარო ვალდებულებებს და სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს.

სესხები

სესხები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, გამოკლებული სესხთან დაკავშირებული გაცემის ხარჯებით. სხვაობა სამართლიან ღირებულებასა და ნომინალურ ღირებულებას შორის აღიარდება მოგებაში ან ზარალში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სესხი აღებულია დამფუძნებლებისგან. ასეთ შემთხვევაში, ეს სხვაობა აისახება კაპიტალში, როგორც დამატებითი კაპიტალი. თავდაპირველი აღიარების შემდეგ, სესხები აისახება ამორტიზებული ღირებულებით ხოლო სხვაობა თვითღირებულებასა და გამოსყიდვის ღირებულებას შორის აისახება მოგებაში ან ზარალში, სესხების პერიოდის განმავლობაში ეფექტური საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე. პროცენტები და სხვა ხარჯები, რომლებიც გაწეულია სესხებზე, მიეკუთვნება ფინანსურ ხარჯებს, გარდა იმ სესხის ხარჯებისა, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება შესყიდვებს, მშენებლობას, ან განსაკუთრებული აქტივის შექმნას.

ასეთი ხარჯები პირდაპირ აქტივის თვითღირებულებაზე კაპიტალიზირდება.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები აღიარდება სამართლიანი ღირებულებით, ხოლო შემდგომში წარმოდგენილია ამორტიზებული ღირებულებით.

ფულადი სახსრები

ფულადი სახსრები მოიცავს მოიცავს ფულს საბანკო ანგარიშებზე და ფულს სალაროში.

კაპიტალი

გაუნაწილებლი მოგება მოიცავს მიმდინარე და წინა პერიოდების გაუნაწილებელ მოგებებს.

მოგების გადასახადი

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები. ეს ცვლილება შეეხო მოგების გადასახდის წარდგენას.

ახალი კანონის მიხედვით მოგების გადასახადის განაკვეთი განისაზღვრა ნულოვანი განაკვეთით, იმ შემთხვევაში თუ არ მოხდება მოგების განაწილება და დარჩება კომპანიაში გაუნაწილებელი მოგების სახით, ხოლო 15%-ით დაიბეგრება დივიდენდად განაწილებული მოგება, მაშინ როცა ძველი მოდელის მიხედვით კომპანიების მოგება იბეგრებოდა 15%-ით, მიუხედავად იმისა, ეს მოგება გაიცემოდა დივიდენდად, თუ კომპანიაში რჩებოდა გაუნაწილებელი მოგების სახით. 2017 წლის 1 იანვრიდან კომპანიები დაიბეგრებიან მოგების გადასახდით, თუ მოხდება მოგების განაწილება (დივიდენდის გაცემა) და ასევე, მოგების გადასახადით იბეგრება ისეთი ტრანზაქციები ინდივიდუალურ პირებთან, რომელიც დაკავშირებულია მოგების მიღებასთან (ბენეფიტი, საჩუქარი, გადასახადები, რომლებიც არაა ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული და სხვა). ამ შემთხვევაში მოგების განაწილება იბეგრება 15/85 პროპორციით.

აღნიშნული ცვლილების გამო, არ წარმოიქმნება დროებითი სხვაობები კომპანიის აქტივებსა და ვალდებულებებში, ფინანსური და საგადასახადო ბაზის საფუძველზე, შესაბამისად არ არსებობს გადავადებული მოგების გადასახადის არც აქტივი და არც ვალდებულება. შესაბამისად, გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულება აღარ წარმოიქმნება 2017 წლის 1-ლი იანვრის შემდგომ პერიოდში და არაა წარმოდგენილი კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები, რომელთა გადახდა მთლიანად ხდება იმ წლიური საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვეში, რომლის განმავლობაშიც დაქირავებული პირები გასწევნ შესაბამის მომსახურებას, მოიცავს:

- (ა) ხელფასებს, ანაზღაურებებსა და პრემიებს;
- (ბ) წლიურ ფასიან შვებულებებს და ბიულეტენის ანაზღაურებებს;

1. ძირითადი საშუალებები

	2 021	2 022
მიწა	938 759	938 759
დაუმთავრებელი მშენებლობა	501 475	501 475
შენობები	8 126 408	8 126 408
მანქანა-დანადგარები	38 554 178	34 053 269
აქტივის გამოყენების უფლება	141 196	141 196
ავეჯი და სხვა ინვენტარი	1 583 814	1 523 980
ოფისის აღჭურვილობა	311 267	311 268
ოფისის აღჭურვილობის ცვეთა	(2 891)	(71 304)
სატრანსპორტო საშუალებები	29 175	50 256
აქტივის გამოყენების უფლების ამორტიზაცია	(37 652)	(65 891)
შენობის ცვეთა	(2 041 236)	(2 085 216)
მანქანა-დანადგარების ცვეთა	(22 094 697)	(22 094 696)
ავეჯისა და სხვა ინვენტარის ცვეთა	(1 073 895)	(1 111 621)
სატრანსპორტო საშუალებების ცვეთა	(9 555)	(12 308)
სულ	24 926 348	20 205 577

ჯგუფის ძირითადი საშუალებები სრული საბალანსო ღირებულებით გამოყენებულია სესხების უზრუნველყოფისთვის.

2. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2 021	2 022
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	-	-
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	26 186 493	39 294 631
საექვო მოთხოვნების კორექტირება	(479 352)	(483 848)
მოთხოვნები მეკავშირე საწარმოს მიმართ	13 912	18 284
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	-	-
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	15 828 718	1 395 964
სულ	41 549 770	40 225 030

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას.

3. ფულადი სახსრები

	2 021	2 022
ნაღდი ფული სალაროში	15 321	39 202
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	1 230	9 210
უცხოური ვალუტა სალაროში	105	105
ადგილობრივი ვალუტა ბანკში	2 013 603	1 760 462
ფულადი სახსრები ბანკში	5 939 793	1 309 149
უცხოური ვალუტა ბანკში	1 684 963	1 670 656
სულ	9 655 015	4 788 784

4. გაცემული სესხები

მოკლევადიანი

	2 021	2 022
გაცემული სესხები მიმდინარე ნაწილი	3,959,377	8 055 955
სულ	3,959,377	8 055 955

გრძელვადიანი

	2 021	2 022
გაცემული სესხები	5 130 663	6 095 552
სულ	5 130 663	6 095 552

საბანკო სესხები უზრუნველყოფილია ჯგუფის მფლობელობაში არსებული ძირითადი საშუალებებით.

5. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	2 021	2 022
მოწ. და მომსახ. წარმოქმნილი		
ვალდებულებები	3 362 536	3 078 520
სულ	3 362 536	3 078 520

სავაჭრო და სხვა ვალდებულებების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას.

6. მიღებული სესხები

	2,021	2,022
მიღებული სესხები მოკლევადიანი ნაწილი	12,866,455	12,866,957
სულ	12,866,455	12,866,957

	2,021	2,022
მიღებული სესხები გრძელვადიანი ნაწილი	40,799,039	44,664,256
სულ	40,799,039	44,664,256

7. შემოსავლები

	2,021	2,022
შემოსავლები	49,897,149	38,359,934
სულ	49,897,149	38,359,934

8. გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება

	2,021	2,022
გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება	10,598,369	8,723,243
სულ	10,598,369	8,723,243

9. ადმინისტრაციული ხარჯები

ადმინისტრაციული ხარჯები	2 021	2 022
შრომის ანაზღაურება	5 497 832	4 786 254
ცვეთა და ამორტიზაცია	678 753	940 024
სამეურნეო ხარჯები	3 193 535	1 862 969
საკონსულტაციო ხარჯები	725 708	273 158
საკომისიო ხარჯები	123 350	230 541
კომუნალური ხარჯები	911 239	1 339 670
საიჯარო ხარჯი	347 413	837 499
სხვა საერთო ხარჯი	7 837 663	14 469 904
სულ	19 315 493	24 740 018

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები

ჯგუფი ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს ჯგუფის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია:

ა) ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები

ძირითადი საშუალებების ცვეთა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა დამოკიდებულია მენეჯმენტის შეფასებებზე, თუ რა პერიოდის განმავლობაში მოელის იგი აქტივის გამოყენებიდან შემოსავლების მიღებას. სასარგებლო მომსახურების ვადები პერიოდულად უნდა გადაიხედოს. შეფასების ცვლილებამ შესაძლოა არსებითი ცვლილება გამოიწვიოს ცალკეულ პერიოდებში საბალანსო ღირებულებასა და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახულ თანხებში.

ბ) მოთხოვნების გაუფასურება

ჯგუფი რეგულარულად აფასებს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს გაუფასურებაზე. გაუფასურების ნიშნების არსებობის შემთხვევაში მენეჯმენტი აფასებს მოთხოვნების მომავალ ფულად ნაკადებს, ხოლო თუ საჭიროა ინდივიდუალური მოთხოვნის მომავალ ფულად ნაკადებს. მენეჯმენტი წარსული გამოცდილების საფუძველზე აფასებს სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურებას. მომავალი ფულადი ნაკადების მოცულობის და დროში განაწილების შეფასების მეთოდოლოგია მენეჯმენტის მიერ გადაიხედება პერიოდულად.

• ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა

ჯგუფის ოპერაციებისთვის დამახასიათებელი ძირითადი რისკებია:

- საკრედიტო რისკი
- საპროცენტი რისკი
- უცხოური ვალუტის რისკი
- ლიკვიდურობის რისკი

ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტები

ჯგუფის ძირითადი ფინანსური ვალდებულებები მოიცავს მიღებულ სესხებს, სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს. ამ ფინანსური ინსტრუმენტების მთავარი მიზანია ჯგუფის ფინანსური უზრუნველყოფა. ჯგუფს გააჩნია ისეთი ფინანსური აქტივები როგორცაა სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, ფული და ფულის ეკვივალენტები.

ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ჯგუფის მენეჯმენტს გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა ჯგუფის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის, ამასთანავე, პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება ჯგუფის ფინანსური მხარისთვის. ჯგუფის მენეჯმენტი ღებულობს ყოველთვიურ ანგარიშგებას ჯგუფის ფინანსური მხარისგან, მიმოიხილავს თავიანთი დასახული მიზნებისა და პოლიტიკის შესრულებისათვის განხორციელებული პროცესების ეფექტურობას. ჯგუფის მენეჯმენტის მთავარი მიზანი არის დაიცვას ჯგუფი რისკის მიუღებელი დონისაგან და საშუალება მისცეს მას მიაღწიოს საქმიანობის მიზანს. აღნიშნულ პოლიტიკასთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი განისაზღვრება, როგორც რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება მერყევი იქნება სავალუტო კურსის ცვალებადობის გამო. ჯგუფს გააჩნია უცხოურ ვალუტაში განხორციელებული გარკვეული ოპერაციები. ჯგუფი არ იყენებს დერივატივებს სავალუტო რისკის მართვისთვის.

უცხოური ვალუტის რისკი

სავალუტო კურსის მერყეობასთან დაკავშირებული რისკი წარმოიშობა ჯგუფის საბანკო ბალანსებისა და სესხებიდან დოლარებში.

ჯგუფის სასესხო ვალდებულებების არსებითობიდან გამომდინარე, თუ სავალუტო გაცვლითი კურსი არსებითად შეიცვლება, საკურსო სხვაობების ეფექტი არსებით გავლენას იქონიებს ჯგუფის ფინანსურ მონაცემებზე.

საპროცენტი რისკი

საპროცენტი რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტი განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს ჯგუფის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებაზე ან მომავალ ფულად ნაკადებზე. ჯგუფი არ დგას საპროცენტი რისკის წინაშე, რადგანაც არ გააჩნია ცვლადი საპროცენტი განაკვეთის მქონე მიღებული ან გაცემული სესხები.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ კრედიტორული დავალიანების დაუფარავობის შემთხვევაში. ჯგუფის საფრთხეს საკრედიტო რისკთან დაკავშირებით განაპირობებს თითოეული მომხმარებლის ინდივიდუალური მახასიათებლები. ჯგუფის

საკრედიტო რისკი, ძირითადად განპირობებულია სავაჭრო და სხვა მოთხოვნებიდან და ფული და ფულის ეკვივალენტებიდან (გარდა ნაღდი ფულისა).

ჯგუფი საკრედიტო რისკს მართავს გარკვეული პრინციპების საფუძველზე, რომლებიც ითვალისწინებს ყველა დაუფარავი საკრედიტო თანხის დაფარვის კონტროლს და პრობლემური ფინანსური აქტივების ინტენსიურ მართვას. ჯგუფი საკრედიტო რისკის მართვის პოლიტიკის ფარგლებში ახორციელებს ფინანსური აქტივების საკრედიტო ხარისხის ანალიზს.

ჯგუფი სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისთვის ქმნის გაუფასურების ანარიცხს, რომელიც წარმოადგენს მომავალი ზარალის საუკეთესო შეფასებას.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი როდესაც ჯგუფი დგას ფინანსური სირთულეებს წინაშე ვალდებულებების დაფარვისას და მათი გადახდის ვადის დადგომის პერიოდში. ლიკვიდურობის რისკი წარმოიქმნება მაშინ, როდესაც განსხვავებულია აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობა. ჯგუფი ახდენს ამ ტიპის რისკების კონტროლს ვადიანობის ანალიზის მიხედვით, და განსაზღვრავს ჯგუფის სტრატეგიას მომავალი ფინანსური პერიოდისთვის. ლიკვიდურობის რისკის მართვის მიზნით, ჯგუფი ახდენს მომავალი ფულადი ნაკადების რეგულარულ მონიტორინგს, რომელიც აქტივების/ვალდებულებების მენეჯმენტის პროცესია.

დამუფძნებლებისგან მიღებულ სესხებს ჯგუფი გადაიხდის 2028 წელს (იხილეთ შენიშვნა 8). საბანკო სესხებს ჯგუფი იხდის ყოველთვიურად.

კაპიტალის რისკის მართვა

ჯგუფი ისე მართავს კაპიტალს, რომ შეძლოს უწყვეტად ფუნქციონირების გაგრძელება და აქციონერებსაც ადეკვატური უკუგება აჩვენოს.

ჯგუფი კაპიტალის სტრუქტურა შედგება აკუმულირებულ მოგებასისა და სესხებისაგან, რომლის დეტალები წარდგენილია მე-8 შენიშვნაში.

ჯგუფი ხელმძღვანელობა მუდმივად აფასებს ჯგუფის კაპიტალის მოთხოვნას, რათა შეინარჩუნოს დაფინანსების ეფექტური საერთო სტრუქტურა და ამავე დროს თავიდან აიცილოს ზედმეტი დამოკიდებულება ნასესხებ სახსრებზე. ამ ანალიზისას გათვალისწინება ჯგუფის სხვადასხვა კლასის სესხების სუბორდინაციის დონეები. ჯგუფი მართავს კაპიტალის სტრუქტურას და ახდენს ამ სტრუქტურის ცვლილებებს იმ ეკონომიკური პირობებისა და რისკის მახასიათებლების ცვლილებების გათვალისწინებით, რომლებიც ახასიათებს კაპიტალის მაფორმირებელ აქტივებს. კაპიტალის სტრუქტურის შენარჩუნების ან ცვლილების მიზნით ჯგუფმა შეიძლება დაუბრუნოს კაპიტალი აქციონერებს ან გაყიდოს აქტივები სესხების დასაფარად.

რეალური ღირებულების შეფასება

რეალური ღირებულება არის საფასური, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვისას ან გადაიხდება ვალდებულების გადასაცემად ორგანიზებულ ოპერაციაში საბაზრო მონაწილეებს შორის შეფასების დღეს, ან ასეთის არ არსებობის შემთხვევაში იმ ბაზრის მიხედვით რომელზეც აქვს წვდომა ჯგუფს და ყველაზე ხელსაყრელია მოცემული თარიღისათვის. როცა შესაძლებელია, ინსტრუმენტის რეალურ ღირებულებას ჯგუფი განსაზღვრავს მოცემული ინსტრუმენტის მოქმედ ბაზარზე კოტირებული ფასით. ბაზარი მოქმედად ითვლება, თუ აქტივებისა და ვალდებულებების ოპერაციები მიმდინარეობს საკმარისი სიხშირითა და მოცულობით, რათა უზრუნველყოს ინფორმაცია ფასების თაობაზე მუდმივ რეჟიმში.

თუ მოქმედ ბაზარზე არ არსებობს კოტირებული ფასი, ჯგუფი რეალურ ღირებულებას განსაზღვრავს შეფასების მეთოდების გამოყენებით. შერჩეული შეფასების მეთოდი მაქსიმალურად იყენებს დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს, მინიმალურად ეყრდნობა არასაბაზრო მონაცემებს და ითვალისწინებს ყველა იმ ფაქტორს, რომლებსაც ბაზრის მონაწილეები ფასის დადგენისას მიიღებდნენ მხედველობაში. თავდაპირველი აღიარებისას ამა თუ იმ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულება არის გარიგების ფასი, ანუ გადახდილი ან მიღებული საკომპენსაციო თანხის რეალური ღირებულება. თუ ჯგუფი გადაწყვეტს, რომ რეალური ღირებულება თავდაპირველი აღიარებისას განსხვავდება გარიგების ფასისგან და რეალური ღირებულება არ დასტურდება იდენტური აქტივის ან ვალდებულების მოქმედ ბაზარზე არსებული კოტირებული ფასით, ასევე, ეს ღირებულება არ

ეფუძნება შეფასებას ისეთი მეთოდის საფუძველზე, რომლის ცვლადებიც მოიცავენ მხოლოდ დაკვირვებადი ბაზრების მონაცემებს, ასეთ შემთხვევაში ფინანსური ინსტრუმენტი თავდაპირველად შეფასდება რეალური ღირებულებით, რომელიც დაკორექტირდება სხვაობით ამ ღირებულებასა და გარიგების ღირებულებას შორის. ნებისმიერი სხვაობა ამ ღირებულებასა და შეფასების მეთოდით მიღებულ თავდაპირველ ღირებულებას შორის მოგვიანებით სათანადო წესით აღიარდება მოგებაში ან ზარალში, ინსტრუმენტის სასიცოცხლო ვადის განმავლობაში, მაგრამ არაუგვიანეს იმ დროისა, როცა შეფასება მთლიანად ეყრდნობა დაკვირვებადი ბაზრის მონაცემებს ან როდესაც გარიგება დაიხურება.

ჯგუფი ადგენს რეალურ ღირებულებას შემდეგი იერარქიის გამოყენებით, რომელიც ასახავს შეფასების გაკეთებისას გამოყენებული მონაცემების მნიშვნელობას:

დონე 1: კოტირებული საბაზრო ფასი (კორექტირების გარეშე) მოქმედ ბაზარზე ანალოგიური ფინანსური ინსტრუმენტისთვის;

დონე 2: მონაცემები გარდა იმისა, რაც შედის პირველ დონეში და რომლებიც თვალსაჩინოა როგორც პირდაპირ (ფასები), ასევე ირიბად (ფასებისაგან წარმოებული). ეს კატეგორია მოიცავს ინსტრუმენტებს, რომლებიც ფასდება შემდეგი მონაცემების გამოყენებით: მოქმედ ბაზრებზე კოტირებული საბაზრო ფასები მსგავსი ფინანსური ინსტრუმენტებისთვის; კოტირებული ფასები მსგავსი ინსტრუმენტებისთვის, რომლებიც ნაკლებად აქტიურად მიიჩნევა; ან შეფასების სხვა მეთოდები, რომლის ფარგლებშიც ყველა მნიშვნელოვანი მონაცემი არის პირდაპირ ან ირიბად თვალსაჩინო, საბაზრო მონაცემებიდან გამომდინარე;

დონე 3: არათვალსაჩინო მონაცემები. აღნიშნული კატეგორია მოიცავს ყველა ინსტრუმენტს, რომლის ფარგლებში შეფასების მეთოდიც მოიცავს მონაცემებს, რომლებიც არ ეყრდნობიან თვალსაჩინო მონაცემებს და არათვალსაჩინო მონაცემები მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ ინსტრუმენტის შეფასებაზე. აღნიშნული კატეგორია მოიცავს ინსტრუმენტებს, რომელთა შეფასება ხდება მსგავსი ინსტრუმენტებისთვის კოტირებული ფასების საფუძველზე, რომლის ფარგლებში მნიშვნელოვანი არათვალსაჩინო კორექტირებები ან დაშვებები საჭირო, რათა აისახოს სხვაობები ინსტრუმენტებს შორის.

2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფი არ ფლობს ფინანსურ ინსტრუმენტებს, რომელთა დაკავშირებითაც ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები მოითხოვს რეალური ღირებულებით წარდგენას ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

რეალური ღირებულების შეფასება, რომელიც გამოყენებულია ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტებისთვის - სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, სავაჭრო და სხვა ვალდებულებები და მიღებული სესხები, მოხდა მე-2 და მე-3 იერარქიის საფუძველზე. აღნიშნული იერარქიებისთვის მოხდა დისკონტირებული ფულადი ნაკადების მეთოდის გამოყენებით.

რეალური ღირებულების შეფასება, რომელიც გამოყენებულია ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტებისთვის - სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, სავაჭრო და სხვა ვალდებულებები და მიღებული სესხები, მოხდა მე-2 და მე-3 იერარქიის საფუძველზე. აღნიშნული იერარქიებისთვის მოხდა დისკონტირებული ფულადი ნაკადების მეთოდის გამოყენებით.

რეალური ღირებულების შეფასება არაკოტირებული ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე ფინანსური ინსტრუმენტებისთვის მოხდა მოსალოდნელი მომავალი ფულადი ნაკადების საფუძველზე, რომელიც დადისკონტირებულია მიმდინარე საპროცენტო განაკვეთით, რომელიც დამახასიათებელია მსგავსი საკრედიტო რისკის და დაფარვის ვადის მქონე ახალი ფინანსური ინსტრუმენტისთვის. ბანკებისგან მიღებული სესხები დადისკონტირებულია ჯგუფი საკუთარი საპროცენტო განაკვეთით, რომლითაც მიღებული აქვს ისინი.

• პირობითი ვალდებულებები

სასამართლო დავები - 2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფს არ გააჩნია არსებითი სასამართლო დავები. მენეჯმენტს მიაჩნია, რომ არ მოხდება არანაირი მატერიალური დანაკარგის წარმოქმნა, შესაბამისად არანაირი ანარიცხი არ არის შექმნილი სასამართლო დავებთან დაკავშირებით.

გადასახადები - საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესაძლოა განხორციელდეს სხვადასხვა ინტერპრეტაციები და ცვლილებები. გარდა ამისა, მენეჯმენტის საგადასახადო ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციებისაგან, ჯგუფის ოპერაციები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ და ჯგუფს დაეკისროს დამატებითი გადასახადები, საურავები, პროცენტები. ჯგუფი

მიაჩნია რომ ყველა გადასახადი გადახდილი აქვს და შესაბამისად, არანაირი ანარიცხი არ წარადგინა ფინანსურ ანგარიშგებაში. საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ ჯგუფის ოპერაციები 3 წლის განმავლობაში.

საოპერაციო გარემო - საქართველოს ბაზარზე პოზიციონირება წარმოშობს დამატებით ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ, სამართლებრივ და საკანონმდებლო რისკებს უფრო განვითარებულ ბაზართან შედარებით. კანონები და რეგულაციები, საგადასახადო და მარეგულირებელი ჩარჩოები ზეგავლენას ახდენენ საქართველოში ბიზნესის სწრაფ განვითარებაზე. საქართველოს მომავალ ეკონომიკურ კურსზე ზემოქმედებას ახდენს მთავრობის მიერ მიღებული ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ გარემოსთან ერთად.

• დაკავშირებული მხარეები

ჯგუფის დაკავშირებულ მხარეებს წარმოადგენენ მისი აქციონერები და ჯგუფის ხელმძღვანელობა.

ჯგუფის დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ნაშთები წარმოდგენილია სესხების სახით(იხილეთ შენიშვნა 8 - დამფუძნებლის სესხები).

საწარმოს უწყვეტობის პრინციპი

ჯგუფს მიღწეული აქვს შეთანხმება დამფუძნებლებთან და სესხების გადახდა არ მოუწევს მომავალი 10 წლის მანძილზე. მენეჯმენტს ჯერა რომ ჯგუფი შეძლებს მინიმუმ იმ ოდენობის შემოსავლების მიღებას, რომ დაფარავს თავისი ვალდებულებები მომდევნო წლების განმავლობაში.

შესაბამისად კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირებადობის პრინციპის საფუძველზე.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ჯგუფის მენეჯმენტმა შეიმუშავა და დანერგა ჯანდაცვის სამინისტროს მიერ გამოცემული ყველა რეკომენდაცია, რათა კლიენტებისა და თანამშრომლების უსაფრთხოება მაქსიმალურად იყოს დაცული.

შპს ფარმაქსი

კონსოლიდირებული მმართველობის
ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერი

2022 წლის 31 დეკემბერს დამთავრებული წლისთვის, ჯგუფის მნიშვნელოვან კომპონენტებს წარმოადგენენ შპს ონკოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ცენტრი და შპს სხიური. შესაბამისად მმართველობის ანგარიშგებაში წარმოდგენილია ინფორმაცია ამ ორი კომპანიის შესახებ.

შპს ფარმაქსი

საქმიანობის განვითარება შედეგები და მდგომარეობა

საქმიანობის აღწერა

შპს „ფარმაქსი“ არის თანამედროვე სტანდარტებზე მორგებული, უახლესი აღჭურვილობითა და მაღალკვალიფიცირებული პერსონალით დაკომპლექტებული სამედიცინო დაწესებულება, რომელიც ორიენტირებულია პაციენტებისთვის მაღალი ხარისხის სერვისის მიწოდებაზე.

„ონკოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ცენტრი“ (შემდგომში მარდალეიშვილის კლინიკა) თავისი აღჭურვილობით და საუკეთესოდ მომზადებული პერსონალით ზრუნავს პაციენტების ჯანმრთელობაზე. კლინიკა აღჭურვილია 52 საწოლით. კლინიკაში შესამღებელია პაციენტებმა მიიღონ რიგი მაღალკვალიფიციური მომსახურება, როგორებიცაა:

- თავისა და კისრის სიმსივნეების მკურნალობა
- მამოლოგიური
- გინეკოლოგიური
- აბდომინური ქირურგია
- თორაკალური ქირურგია
- ქიმიოთერაპია
- თერაპია
- უჯრედული თერაპია
- რადიოლოგია
- რეანიმაცია
- ლაბორატორია
- ენდოკრინოლოგია
- კრიო ქირურგია
- ლაზერული ქირურგია
- ლაპარასკოპიული ქირურგია

„ონკოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ცენტრში“ ასევე, წარმატებით ფუნქციონირებს გენომის კვლევის და დიაგნოსტიკის ცენტრი. აღნიშნული კვლევები ფართოდ გამოიყენება მთელს მსოფლიოში, რადგან მისი საშუალებით დგინდება გენეტიკური მუტაციები, ადამიანის წინასწარგანწყობა სხვადასხვა სახის ავთვისებიანი სიმსივნეების მიმართ. წერტილოვანი მუტაციები და ქრომოსომული დარღვევები ზუსტად ადგენენ სიმსივნის ბუნებას, იძლევიან დაავადების წარმოშობის და მიმდინარეობის პროგნოზს და უზრუნველყოფენ მაქსიმალურად ეფექტური გადაწყვეტილებების მიღებას მკურნალობის პროცესში. ეს ზოგავს პაციენტის რესურსებს და ზრდის წარმატებული მკურნალობის ალბათობას.

2021 წლის განმავლობაში მარდალეიშვილის კლინიკა მოემსახურა 13514 უნიკალურ პაციენტს, 2020 ში კი 12489. 2021 წელს 22 301-მა პაციენტმა მიიღო სტაციონარული სერვისი, ხოლო 13 347 ამბულატორიული სერვისები, 2020 წელს კი სტაციონარული სერვისის მიიღო 2225 -მა უნიკალურმა პაციენტმა, ამბულატორიული სერვისებით ისარგებლა 12399 უნიკალურმა პაციენტმა.

2021 წლის განმავლობაში კომპანიის მიერ ჯამურად გაწეული სერვისების რაოდენობა შეადგენს 32 207, მათ შორის 29 630 იყო გემიური ამბულატორიული სერვისები და 2 578 სტაციონარული სერვისები. 2020 წელს კი ჯამურად გაწეული სერვისების რაოდენობა იყო 37 897, აქედან სტაციონარული სერვისები იყო 2711 ამბულატორიული კი 35 187.

საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამიდან მიღებული შემოსავალი წარმოადგენს მარდალეიშვილის კლინიკის ძირითადი შემოსავლის არხს, რომელშიც კომპანია პროგრამის დაწყების დღიდანვე არის ჩართული. პროგრამის

პირველი ეტაპი დაიწყო 2013 წლიდან, რაც გულისხმობდა ჯანმრთელობის დაზღვევის არმქონე მოსახლეობის მოცვას მინიმალური პაკეტით, პროგრამის მეორე ეტაპზე - გაიზარდა პროგრამული სამედიცინო სერვისების მოცულობა (ბაზისური პაკეტი). 2014 წლიდან პროგრამაში ინტეგრირდა მოსახლეობის მიზნობრივი ჯგუფების ჯანმრთელობის სახელმწიფო დაზღვევის პროგრამები. მარდალეიშვილის კლინიკა არ არის ჩართული საყოველთაო დაზღვევის გეგმიური ამბულატორიის ნაწილში.

საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში შესრულებული სამუშაოს დაფინანსება ხდება სტაციონარულ დადგენილი ტარიფებით, ლიმიტებით ან ფაქტიური ღირებულების მიხედვით.

მაკროეკონომიკური გარემოს მიმოხილვა და საქართველოში ჯანმრთელობის დაცვის ბაზრის მიმოხილვა

ჯანმრთელობის დაცვის ბაზარი საქართველოში საკმაოდ კონკურენტულია, ქვეყნის მასშტაბით ფუნქციონირებს 271 სამედიცინო დაწესებულება საერთო საწოლ ფონდით 15 909¹, აქედან თბილისში არის 127 სტაციონარული დაწესებულება საწოლფონდით 8 361², მარდალეიშვილის კლინიკი პროცენტული წილი მთლიან საწოლ ფონდში 0.62%.

კომპანია ოპერირებს თბილისში სადაც არსებული ბიზნესგარემო გამოირჩევა მისთვის დამახასიათებელი თავისებურებებით, ამასთან გამოხატულია სპეციფიკური კონკურენტული გარემო. აღნიშნულის გათვალისწინებით კომპანია სამედიცინო დაწესებულებებში ცდილობს უზრუნველყოს სამედიცინო და არასამედიცინო სერვისების მაქსიმალურად ფართო არჩევანის მიწოდება, რათა არ მოხდეს პაციენტის გადამისამართება ამათი კონკურენტულ დაწესებულებაში. აღსანიშნავია, რომ მარდალეიშვილის კლინიკა ოპერირებს ონკოლოგიის მიმართულებით და მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ თავ კისრის ონკოლოგიური პაციენტების ძირითადი რაოდენობა მიმართავს მარდალეიშვილის კლინიკას.

საქართველოში არსებული საბაზრო მდგომარეობიდან გამომდინარე სამედიცინო დაწესებულებებისთვის არსებობს 3 ძირითადი შემოსავლის არხი:

- საყოველთაო დაზღვევის პროგრამა
- სადაზღვევო კომპანიები
- თვითდინება-შიდა სტანდარტი

ბაზარზე ძირითადი მომთამაშე არის სახელმწიფო საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით, სადაც განხორციელებული ცვლილებები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს კლინიკების შემოსავალზე.

განვითარების გეგმები

მიუხედავად იმისა რომ, მარდალეიშვილის კლინიკას წლების განმავლობაში მყარად უჭირავს ონკოლოგიური მიმართულებით უპირატესობა, სხვა კლინიკებთან შედარებით, ბაზარზე არსებული მაღალი კონკურენციის გამო, იგეგმება ცნობადობის გაზრდის პროექტები, როგორც არის რეკლამირება სხვადასხვა წყაროებში ასევე სხვადასხვა სხვადასხვა რეგიონებში უფასო კონსულტაციების მოწყობა უფრო აქტიურად, რაც ხელს შეუწყობს როგორც კომპანიის ცნობადობის გაზრდას, ასევე კიდევ უფრო ხელმისაწვდომს გახდის მოსახლეობისთვის მაღალპროფესიონალური სამედიცინო სერვისის.

კომპანიაში არსებული ფინანსური მაჩვენებლები აძლევს კომპანიას იმის შესაძლებლობას მუდმივად იზრუნოს მატერიალურ ტექნიკური ბაზის განახლებაზე და თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვაზე.

მომსახურების ხარისხის მაჩვენებლის ზრდისთვის იგეგმება, თანამშრომლების (ადმინისტრაციული და სამედიცინო პერსონალი) გადამზადება როგორც სამედიცინო ისე ადმინისტრაციული კუთხით, რაც მოიცავს ტრენინგებს/კონფერენციების და სხვა ღონისძიებების მოწყობას. მაგალითად:


- სამედიცინო მიმართულებით:
 - ახალგაზრდა ექიმების მივლინებას უცხოურ ონკოლოგიურ კლინიკებში
- ადმინისტრაციული მიმართულებით:
 - სერვისების, ინფრასტრუქტურის, საკადრო მართვის და სხვა რესურსების კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანა

¹ <http://www.ncdc.ge/Pages/User/News.aspx?ID=edc5cd1b-ad8b-4406-b384-41b64d4743fb>

² <https://www.ncdc.ge/#/pages/file/a9ee8a02-ef7a-4d3a-b510-39aefd5872da>

- თანამშრომლების ტრენინგები სხვადასხვა მიმართულებით

ორგანიზაციული სტრუქტურა



2017 წლის მაისში საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაში ცვლილებებმა გამოიწვია სახელმწიფო პროგრამებიდან მიღებული შემოსავლების შემცირება ასევე გამოიწვია მომხმარებლის ქცევის შეცვლა და გარკვეულ წილად შემცირდა თანაგადახდებიც. თუმცა საბოლოოდ სახელმწიფოსგან შემოსავლის შემცირება 2017 წელთან შედარებით არ მომხდარა რადგან დამატა ახალი მაღალტექნოლოგიური სერვისები, მაგალითად კრიო და თერმო აბლაციები. რამაც თავის მხრივ გამოიწვია მარაგების წილის ზრდა შემოსავლებში რადგან ეს ოპერაციები ძვირადღირებულია, შესაბამისად მარჟა დაბალია.

სოციალური პასუხისმგებლობა

მარდალეიშვილის კლინიკა წლების განმავლობაში აქტიურად ცდილობს მოსახლეობას მიაწოდოს მაღალხარისხიანი მომსახურება.

დაავადების ადრეულად გამოვლენის მიზნით კლინიკა ანხორციელებს რიგ აქტივობებს, როგორიცაა : გასვლითი აქციები რეგიონებში და უფასო კონსულტაციები თბილისში.

კომპანია თანამშრომლებს სთავაზობს უსაფრთხო გარემოს მუშაობისთვის, ასევე ყველა თანამშრომელს რომელიც დაეუბნევა კერძო დაზღვევაში უფინანსებს პოლისი ღირებულების ნაწილს, მთელი ქსელის მასშტაბით.

დადგენილია ჰიგიენის და დეზინფექციის სტანდარტები, რომელზეც მუდმივად ხდება მუშაობა და ოპტიმიზაცია ხარისხის სამსახურის მიერ.

კვლევისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებები

2018 წლის 8 სექტემბერს, "მარდალეიშვილის სამედიცინო ცენტრის" ეგიდით და შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით ჩატარდა საერთაშორისო სიმპოზიუმი "ენდოსკოპიური ქირურგიისა და რეპროდუქციული მედიცინის ახალი მიმართულებები ონკოლოგიაში".

2018 წლის 8 სექტემბერს, სასტუმრო ჰოლიდეი ინში, "მარდალეიშვილის სამედიცინო ცენტრის" ორგანიზებით, პირველი საერთაშორისო სიმპოზიუმი ჩატარდა თემაზე: "რეპროდუქციული მედიცინის ახალი მიმართულებები ონკოლოგიაში".

2019 წლის 13 აპრილს, თბილისის მარიოტში, ონკოლოგიაში პირველი რეგიონული კონფერენცია ჩატარდა, რომელიც ძუძუს, ფილტვის და კოლორექტული კარცინომის დიაგნოსტიკისა და უახლესი მეთოდებით მკურნალობის საკითხებს მიემდგვნა.

2019 წლის 14-25 ივლისს, სასტუმრო "ოაზისში", "საქართველოს ექიმთა პოსტდოქტორული განათლების ასოციაციის" ორგანიზებით მე-18 პოლიპროფილური სამედიცინო კონფერენცია გაიმართა თემაზე "კლინიკური პრაქტიკის საერთაშორისო სტანდარტები".

2019 წლის 23 აგვისტოს, ქალაქ ბათუმში “მარდალეიშვილის სამედიცინო ცენტრის” და “სხივური მედიცინის ცენტრის” ექიმებმა აჭარელ კოლეგებთან სამუშაო შეხვედრა გამართეს. “ტუმორ ბორდის” ფარგლებში წამყვანმა სპეციალისტებმა სიმსივნის დიაგნოზის მქონე პაციენტების მკურნალობის გეგმა და სტრატეგია განიხილეს. შეხვედრის ფარგლებში განისაზღვრა მათი მკურნალობის ინდივიდუალური გეგმა.

2019 წლის 13 ოქტომბერს “მარდალეიშვილის დიაგნოსტიკური ცენტრი”, “მომა თბილისში” საქართველოში მოღვაწე ექიმებისთვის ატარებს სემინარს თემაზე “საფეთქელ-ქვედა ყბის სახსრის MRT დიაგნოსტიკა და მკურნალობის ტაქტიკის დაგეგმვა”.

2019 წლის 16 ნოემბერს, სასტუმრო „შერატონ გრანდ მეტეხი პალასში“, „მარდალეიშვილის დიაგნოსტიკური ცენტრის“ ორგანიზებით საერთაშორისო კონფერენცია ჩატარდა თემაზე: „რადიოლოგიური დიაგნოსტიკის თანამედროვე მიღწევები“. ღონისძიებაზე მოხსენებით წარსდგნენ მსოფლიოში წამყვანი სამედიცინო აპარატურის მწარმოებლის „General Electric“-ის წარმომადგენლები ამერიკიდან.

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

მარდალეიშვილის კლინიკისთვის რისკ გარემოებებს წარმოადგენენ შემდეგი საკითხები:

1. საკანონმდებლო ბაზის ხშირი ცვლილებები

კომპანია 2013 წლიდან მონაწილეობს საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამაში. პროგრამაში მონაწილეობა ზოგადად ხორციელდება განაცხადის შევსების საფუძველზე, რომელიც კომპანიას ავტომატურად ავალდებულებს დაეთანხმოს და შესარულოს ნორმატიულ ბაზაში განხორციელებული ნებისმიერი ცვლილება. ცვლილებების პროექტი წინასწარ არ თანხმდება მიმწოდებელთან. ცვლილებები ხორციელდა მთელი რიგი მიმართულებებით:

- ადმინისტრირების წესების;
- სერვისების განფასების;
- სერვისების დაფარვის;
- პროგრამით მოსარგებლე კონტიგენტის ცვლილებების;
- საჯარიმო სანქციების;
- დოკუმენტბრუნვის;
- ელექტრონული საინფორმაციო სისტემების უზრუნველყოფის;
- და სხვა.

აღნიშნული ცვლილებებზე კომპანიამ უნდა მოახდინოს ოპერატიული რეაგირება. ეს პროცესები დიდ რისკს უქმნის რეგიონული კლინიკებს.

2. საკანონმდებლო ბაზის ბუნდოვანი და ორაზროვანი ჩანაწერები

ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების შესრულებას თან სდევს პროგრამის განმახორციელებლის მხრიდან რევიზია და კონტროლი, საკანონმდებლო ბაზის ბუნდოვანი და ორაზროვანი ჩანაწერები, რომელშიც ნათლად არ იკვეთება ჩანაწერის არსობრივი მხარე და იძლევა არასწორად ინტერპრეტირების საშუალებას ხშირ შემთხვევაში იწვევს არაობიექტური საჯარიმო სანქციების დაკისრებას. დაკისრებული სანქციების გაბათილება/შეჩერება/აღსრულება დაკავშირებულია ადამიანურ და ფინანსურ რესურსების მაღალ დანახარჯებთან.

3. შეუსაბამო საჯარიმო სანქციები არასამედიცინო და ტექნიკურ ხარვეზებზე

ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების შესრულების პროცესში საკანონმდებლო ბაზით მოთხოვნილია მთელი რიგი პროცედურების ასახვა სპეციალურ ელექტრონულ პროგრამაში, რომელთა დიდი ნაწილი არ უკავშირდება პაციენტის სამედიცინო მომსახურებას და არ ცვლის შემთხვევის შესახებ არსებით ინფორმაციას, კერძოდ პაციენტის დაწესებულებაში მისვლის, დრო, ფორმა, შეტყობინების დრო, პაციენტის გადახდის ქვითრის ნომერი და ა.შ. სწორედ ასეთი ტიპის ნებისმიერი გადაცდომა იწვევს არაადეკვატური საჯარიმო სანქციების დაკისრებას, როგორცაა მომსახურების სრული ღირებულების არ ანაზღაურება და ამავე მომსახურების სამმაგი ოდენობის ჯარიმა.

4. ჯარიმების აღსრულების მექანიზმები

პროგრამის განმახორციელებლის მხრიდან რევიზიის და კონტროლის განხორციელების შედეგად დაკისრებული ჯარიმის აღსრულებას, განმახორციელებელი იწყებს ჯარიმის დაკისრებიდან ერთ კალედარულ თვეში მიუხედავად იმისა კომპანია ეთანხმება თუ არა დაკისრებულ საჯარიმო სანქციას.

5. ფინანსური რისკები

ფინანსური რისკებად განიხილება, საკრედიტო რისკი, საპროცენტო რისკი, სავალუტო რისკი და ლიკვიდურობის რისკი.

6. საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის დიდი წილი შემოსავლებში

შემოსავლები არხების მხედვით არ არის დივერსიფიცირებული, კომპანიის შემოსავლების 75% არის საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამიდან, რაც ნიშნავს რომ ძირითადი შემოსავლის წყარო არის ერთი პირი, სახელმწიფო პროგრამა სადაც ხშირია ცვლილებები და აქედან გამომდინარე რთულია გრძელვადიანი პროგნოზების გაკეთება.

რისკების მართვა

ზემოთ ჩამოთვლილი საოპერაციო რისკების სამართავად კომპანია იყენებს სხვადასხვა გზებს. სახელმწიფო პროგრამის ნორმატიული ბაზით განსაზღვრული წესების დაცვისა და მოსალოდნელი გართულებების თავიდან აცილების მიზნით კომპანიაში შექმნილია არაერთი სტრუქტურული რგოლი:

- ფინანსური მართვის სამსახური
- ხარისხის მართვის სამსახური

ზემოთ ჩამოთვლილი სამსახურები ვალდებულია დროულად მიაწოდოს ინფორმაცია კლინიკის ადმინისტრაციას ახალი რეგულაციების შესახებ და მოსთხოვოს მათ სათანადო რეაგირება.

ფინანსური რისკების სამართავად კომპანია იყენებს: უცხოურ ვალუტაში აღებული სესხი გაცემულია უცხოურ ვალუტაშივე დამფუძნებელ კომპანიაზე შესაბამისაქ მარდალეიშვილის კლინიკის მაშტაბით საბანკო ვალდებულებებზე რისკი ამგვარადაა შემცირებული. აგრეთვე ფინანსური აქტივების მუდმივი მონიტორინგი, დებიტორული და კრედიტორული დავალიანებების ვადაგადაცილებების მიხედვით დაყოფა და კონტრაგენტების სორტირება იმის მიხედვით სახელმწიფოა ფიზიკური პირი თუ იურიდიული. სამომავლო ფულადი ნაკადების დაგეგმვა და მუდმივი ზედამხედველობა.

დამატებითი განმარტებები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ

იქიდან გამომდინარე, რომ წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები არის მენეჯმენტის შეფასებით სრული, ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი თანხები აღარ საჭიროებს დამატებით განმარტებებს.

დირექტორი

კონსტანტინე მარდალეიშვილი

5. ფინანსური რისკები

ფინანსური რისკებად განიხილება, საკრედიტო რისკი, საპროცენტო რისკი, სავალუტო რისკი და ლიკვიდურობის რისკი.

6. საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის დიდი წილი შემოსავლებში

შემოსავლები არხების მხედვით არ არის დივერსიფიცირებული, კომპანიის შემოსავლების 75% არის საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამიდან, რაც ნიშნავს რომ ძირითადი შემოსავლის წყარო არის ერთი პირი, სახელმწიფო პროგრამა სადაც ხშირია ცვლილებები და აქედან გამომდინარე რთულია გრძელვადიანი პროგნოზების გაკეთება.

რისკების მართვა

ზემოთ ჩამოთვლილი საოპერაციო რისკების სამართავად კომპანია იყენებს სხვადასხვა გზებს. სახელმწიფო პროგრამის ნორმატიული ბაზით განსაზღვრული წესების დაცვისა და მოსალოდნელი გართულებების თავიდან აცილების მიზნით კომპანიაში შექმნილია არაერთი სტრუქტურული რგოლი:

- ფინანსური მართვის სამსახური
- ხარისხის მართვის სამსახური

ზემოთ ჩამოთვლილი სამსახურები ვალდებულია დროულად მიაწოდოს ინფორმაცია კლინიკის ადმინისტრაციას ახალი რეგულაციების შესახებ და მოსთხოვოს მათ სათანადო რეაგირება.

ფინანსური რისკების სამართავად კომპანია იყენებს: უცხოურ ვალუტაში აღებული სესხი გაცემულია უცხოურ ვალუტაშივე დამფუძნებელ კომპანიაზე შესაბამისაქ მარდალეიშვილის კლინიკის მაშტაბით საბანკო ვალდებულებებზე რისკი ამგვარადაა შემცირებული. აგრეთვე ფინანსური აქტივების მუდმივი მონიტორინგი, დებიტორული და კრედიტორული დავალიანებების ვადაგადაცილებების მიხედვით დაყოფა და კონტრაგენტების სორტირება იმის მიხედვით სახელმწიფოა ფიზიკური პირი თუ იურიდიული. სამომავლო ფულადი ნაკადების დაგეგმვა და მუდმივი ზედამხედველობა.

დამატებითი განმარტებები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ

იქიდან გამომდინარე, რომ წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები არის მენეჯმენტის შეფასებით სრული, ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი თანხები აღარ საჭიროებს დამატებით განმარტებებს.

დირექტორი

კონსტანტინე მარდალეიშვილი